NEWSLETTER #4

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია

2018 ოქტომბერი

ხელვაჩაურში, ქედასა და შუახევში მერიის მრჩეველთა საბჭო ჩამოყალიბდა

4 ოქტომბერს, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში გაიმართა ოჯახების მოწყვლადობის (ფოკუსით ბავშვთა მიმართ ძალადობის და ბავშვთა შრომის შემთხვევებზე) განმაპირობებელ ფაქტორებზე მომუშავე მრჩეველთა საბჭოს პირველი ოფიციალური შეხვედრა.
ასევე, 12 ოქტომბერს, ქედის მუნიციპალიტეტის მერიამ ჩამოაყალიბა მრჩეველთა საბჭო.
17 ოქტომბერს, შუახევის მუნიციპალიტეტმაც დაამტკიცა მუნიციპალური მრჩეველთა საბჭო.

საბჭოს ჩამოყალიბების იდეა საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციამ განახორციელა პროექტის - „მუნიციპალიტეტების გაძლიერება ბავშვთა მიმართ ძალადობაზე რეაგირებისა და ოჯახების მხარდაჭერისთვის აჭარაში" ფარგლებში, რომელიც აჭარის რეგიონში ხორციელდება გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით.

მრჩეველთა საბჭოს ფუნქციონირების მიზანია ხელი შეუწყოს მუნიციპალიტეტში შემავალი ოჯახების მოწყვლადობის განმაპირობებელი ფაქტორების იდენტიფიცირებას და ადგილობრივი რესურსებით მოგვარებას, ასევე, საბჭოს რეკომენდაციების შესაბამისად, მოახდინოს სექტორთა შორისი თანამშრომლობა რეგიონულ საბჭოზე განხილულ რაიონის შემთხვევებზე. შეხვედრაზე გაწერეს შესაბამისი სამოქმედო გეგმა. მრჩეველთა საბჭოს შეხვედრა ყოველთვიურად გაიმართება.

თეა კვაჩიძე: "სოციალურ მუშაკს თავისი მოვალეობის უკეთესად შესასრულებლად პირობების გაუმჯობესება სჭირდება"

თეა კვაჩიძე ქვემო ქართლში სოციალურ მუშაკად მუშაობს, იგი 14 წელია ამ სფეროშია და ამ დროის განმავლობაში დიდი გამოცდილება დაუგროვდა. მისი თქმით, წარსულ დროსთან შედარებით, ძალიან გაიზარდა, მრავალმხრივი და მრავალფუნქციური გახდა სოციალური მუშაკის საქმიანობა.

„გვაქვს არანორმირებული სამუშაო გრაფიკი, გვიწევს არასამუშაო საათებში და შაბათი-კვირას მუშაობა, ასევე გაიზარდა სამუშაო დატვირთა, ვგულისხმობ მიმართულებების დამატებას" - ამბობს თეა კვაჩიძე.

თეა საუბარში აღნიშნავს, რომ სამუშაო პროცესში, უამრავი პრობლემა ხვდება, მაგალითად: სერვისების სიმცირე, ტექნიკური პრობლემები.

„ვმუშაობთ თითქმის 32 მიმართულებით და ყველა მიმართულებით არის ბევრი საქმე"- ამბობს თეა კვაჩიძე.

თეა აღნიშნავს, რომ სოციალურ მუშაკს თავისი მოვალეობების უკეთესად შესასრულებლად სჭირდება სერვისების მრავალფეროვნება, სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო გარემო და პირობები, ტექნიკური უზრუნველყოფა, მიმარულებების დამატების პარალერულად შესაბამისი განათლების უზრუნველყოფა და კადრების რაოდენობის ზრდა.

პროფესია, რომელიც ჩემშია

რა პრობლემებს აწყდებებიან ყოველდღიურად შეზღუდული შესაძლებლების მქონე ადამიანები?!
რა ნაბიჯებს დგამს პრობლემების მოსაგვარებლად სახელმწიფო?!
რა როლი აქვს სოციალურ მუშაკს აღნიშნულ საკითხში?!
რა ქმედით ნაბიჯებს დგამს პრობლემის მოსაგვარებლად საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია?!
საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის პროექტის მენეჯერი, დოქტორანტი სოციალური მუშაკი, ქეთი გიგინეიშვილი.

ვიდეო იხილეთ აქ

სოციალური მუშაკის როლი ინკლუზიურ განათლებაში. ნინო ტაბიძე - სოციალური მუშაობის მაგისტრი

ვიდეო იხილეთ აქ

მითი თუ რეალობა

სოციალური მუშაკი
ხშირად ვფიქრობ ბოლო პერიოდში გავრცელებულ მოსაზრებაზე - რომ სოციალური მუშაკი ბიოლოგიურ ოჯახებს ბავშვებს ,,ართმევს'' და გამოჰყავს ბიოლოგიური გარემოდან. მგონია, ამას ხელს უწყობს როგორც ერთეული შემთხვევები, ასევე მედიაში ბოლო დროს გავრცელებული სატელევიზიო სიუჟეტები, რომლებითაც ჟურნალისტები ერთი მხრივ, ცდილობენ მძაფრად და ყოველგვარი შესწავლის გარეშე წარმოაჩინონ ვითარება, ხოლო მეორე მხრივ, პროფესიის დისკრედიტირებაში ლომის წვლილი შეაქვთ. ეს ყველაფერი გამოიხატება: პროფესიის არასწორად სახელდებასა (ხშირად სოციალურ მუშაკს სოციალურ აგენტად მოიხსენიებენ) და სოციალური მუშაკების საქმიანობის მხოლოდ უარყოფით კონტექსტში გაშუქებაში.

გულსატკენია, როცა საქმე ეხება მედიის მხრიდან პროფესიის ნეგატიურ კონტექსტში გაშუქებას. თავის მხრივ, ამ ყველაფერზე რეაგირება არ აქვთ სოციალური მუშაკების დამქირავებლებსაც, რომლებიც მხოლოდ თავის მართლების პოზიციაში დგან და ცდილობენ, არ გააღიზიანონ საზოგადოება.

უჭირთ, აღიარონ სისტემაში არსებულ სირთულეები - ის, რომ სოციალურ მუშაკებს არ აქვთ ბენეფიციარებთან სამუშაოდ შესაბამისი ინსტრუმენტები, რომ ყოველდღიურად უწევთ ზეგანაკვეთური ისეთი სამუშაოს შესრულება, რომელიც მაინცდამაინც სოციალური სამუშაოს პროფესიის ფუნქცია არ არის და რომელსაც არ სჭირდება სოციალური სამუშაოს ბაკალავრის ან მაგისტრის ხარისხი. დამსაქმებლები არ აღიარებენ, რომ აკადემიური ხარისხის მქონე პროფესიონალების არსებობის მიუხედავად, ვერ ინარჩუნებენ მათ სამუშაო ადგილებზე, რადგან ვერ აძლევენ პროფესიული ზრდის, პროფესიული ვალდებულებების შესრულების საშუალებას.

სამართლიანობა მოითხოვს ასევე, თუ ვიტყვი, რომ არც სოციალური მუშაკები ვართ ამ მხრივ პრაქტიკულები - გვიჭირს, დავიცვათ ჩვენი პროფესიული უფლებები, უპირველეს ყოვლისა ვერ ვახდენთ ჩვენი პროფესიული უფლებების ადვოკატობას, არ გვაქვს რწმენა იმისა, რომ შეგვიძლია ცვლილებების მოხდენა და ვრჩებით სისტემის საცეცებად, რომელიც გვკარნახობს როგორ ვიმოქმედოთ პროცედურებისა და სამუშაო აღწერილობების ჩარჩოში. და როცა სწორედ ამ პრობლემების არსებობის გამო შეცდომებს ვუშვებთ, მხოლოდ სოციალური მუშაკი იღებს საყვედურს, ისჯება და ტოვებს სამსახურს.

არავინ დაობს, რომ უამრავი მიმართულებით მომუშავე და სამუშაო ინსტრუმენტებით, მეთოდებით არასათანადოდ აღჭურვილი სოციალური მუშაკი შეუძლებელია ხარისხიან მომსახურებას უწევდეს ბენეფიციარებს.

რაც შეხება მოსაზრებას, რომ „სოციალური მუშაკები არიან ,,ჯალათები'' და ბავშვებს მშობლებს აშორებენ" მითია, რომელსაც წარმატებით ამკვიდრებს მედია და მის საპირწონე რეალობად უამრავი მაგალითის მოყვანა შეგვიძლია სოციალურ მუშაკებს, თუმცა ამას არ ვაკეთებთ, ვდუმვართ ჩვენი წარმატებული შემთხვევების შესახებ, გვეუხერხულება, ან არ გვსურს ჩვენი სამუშაოს გამოაშკარავება. იმაში, რომ საზოგადოებას არ მივეცით შესაძლებლობა, დაენახა თუ რა სასიკეთო ცვლილების მოხდენა შეუძლია ჩვენს პროფესიას, სისტემასთან ერთად თითოეული ჩვენგანის ლომის წვლილიცაა. სოციალური მუშაკები სწორედ ცვლილებების რწმენამ მოგვიყვანა ამ პროფესიაში, რომლის მთავარ ღირებულებებსაც, სამწუხაროდ, თანდათან დავამახინჯებთ და დავკარგავთ, თუკი არ შევჩერდებით და გავიაზრებთ, რეალურად რა შეუძლია ჩვენს პროფესიას ამ მითის გასაქარწყლებლად და არ ვიმოქმედებთ საზოგადოების კეთილდღეობის უზრუნველყოფაში ჩვენი პროფესიული წვლილის შესატანად. საზოგადოების კეთილდღეობა არის სოციალური მუშაობის, როგორც პროფესიის, ჭეშმარიტი არსი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენი უმოქმედობით მითის რეალობად ქცევის რისკი კვლავ იარსებებს და ჩვენდაუნებურად სათავეს კიდევ უფრო მეტ მცდარ მოსაზრებას დავუდებთ.

ასოციაციამ ტრენინგები აჭარის 6 მუნიციპალიტეტში ჩაატარა

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციამ, ბათუმში, ქედაში, შუახევში, ქობულეთში, ხელვჩაურსა და ხულოში ტრენინგები ჩაატარა.

ტრენინგებზე განხილულ იქნა სექტორებსა და უწყებებს შორის წარმატებული თანამშრომლობის სახეები, წარმატებული თანამშრომლობის განმაპირობებელი და ხელის შემშლელი ფაქტორები. მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებას ამ მიმართულებით.

ტრენინგები ჩატარდა შემდეგ თემებზე: ბავშვთა შრომა და მისი გამომწვევი მიზეზები, ბავშვთა სიღარიბე, გენდერი და ბავშვთა სექსუალური ექსპლოატაცია, განათლება, მოწყვლადობის ეფექტური მონიტორინგი. ასევე, რეფერირების დოკუმენტის მიხედვით, ძალადობისა და ბავშვთა შრომის, როგორც მოწყვლადობის განმაპირობებელი ფაქტორების პრევენციაზე.

„საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია“, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით, აჭარის რეგიონში ახორციელებს პროექტს, „მუნიციპალიტეტების გაძლიერება ბავშვთა მიმართ ძალადობაზე რეაგირებისა და ოჯახების მხარდაჭერისთვის აჭარაში“, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს მუნიციპალიტეტის სოციალური სამუშაო ძალის, უნარებისა და ცოდნის განვითარებას, რათა მოახდინონ ბავშვთა ძალადობის შემთხვევებზე და რეგიონში მოწყვლადი ოჯახების მხარდაჭერაზე დროული რეაგირება.

ტრენინგი - ბულინგის პრევენციის ხერხები

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის წარმომადგენელმა, სოფო ბაჩილავამ, მინდია აბაშიძის სახელობის თხილნარის პირველ საჯარო სკოლაში ჩაატარა ტრენინგი, თემაზე ,,ბულინგის პრევენციის ხერხები". სამიზნე ჯგუფი მერვე კლასის მოსწავლეები იყვნენ.

შეხვედრის მიმდინარეობა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. ასევე ტრენინგზე წარმოდგენილი იყო სხვადასხვა სავარჯიშოები.

მასწავლებლის საერთაშორისო დღე

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციამ ყველა პედაგოგს მასწავლებლის საერთაშორისო დღე მიულოცა.
31-ე საჯარო სკოლის პედაგოგმა, ეკა ხაბურზანიამ, სკოლებში სოციალური მუშაკების არსებობის აუცილებლობაზე ისაუბრა.
საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, 2017 წელს, თბილისის ორ საჯარო სკოლაში ახორციელებდა პროექტს, რომლის ფარგლებშიც სკოლებში მუშაობდნენ სოციალური მუშაკები, სკოლის ოთხივე რგოლთან (ადმინისტრაცია, პედაგოგები, ბავშვები და მშობლები).
პროექტი ხორციელდებოდა, ჩეხურ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციასთან People in Need - თან ერთად. პროექტის დამფინანსებელი იყო ჩეხეთის განვითარების სააგენტო და ხორციელდებოდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან შეთანხმებით.
ვიდეო იხილეთ აქ.

ასოციაციამ სამეგრელოში, აჭარასა და ქვემო ქართლში შეხვედრები დაასრულა

„საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის“ თავმჯდომარემ, ნინო შატბერაშვილმა, სოციალურმა მუშაკებმა ნელი აკობიამ, ცაბუნია ვართაგავამ, სოფო ბაჩილავამ და ქეთი გიგინეიშვილმა აბაშაში, სენაკში, ბათუმში, შუახევში, რუსთავსა და მარნეულში მუნიციპალიტეტების, ბათუმის მერიისა და ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებთან შეხვედრები დაასრულეს.

წარმომადგენლებმა შეხვედრაზე მონაწილეებს გააცნეს პროექტის “ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება ეფექტიანი მმართველობისთვის“ ფარგლებში ჩატარებული კვლევების შედეგები. კვლევები მოიცავდა მუნიციპალიტეტებში არსებული სოციალური მომსახურებების შეფასებასა და აღნიშნული მომსახურებების ზეგავლენის ანალიზს.

პროექტს ახორციელებს World Vision საქართველო, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციასა და საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციასთან ერთად, ევროკავშირის მხარდაჭერით, საქართველოს 6 რეგიონში.

სათემო შეხვედრებზე მთავარ პრობლემად სიღარიბე სახელდება

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის წარმომადგენლებმა, ქეთი გიგინეიშვილმა და სოფო ბაჩილავამ, 11-12 სექტემბერს, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში შარაბიძეებისა და თხილნარის თემში, ასევე, ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდებთან სათემო შეხვედრები გამართეს.
შეხვედრების მიზანი იყო თემის მცხოვრებლებს გამოეკვეთათ მათ თემში არსებულ შეჭირვებულობასთან დაკავშირებული პრობლემები, მათი გამომწვევი მიზეზები და ამ პრობლემებთან გამკლავების არსებული მეთოდები.

შეხვედრებზე გამოიკვეთა თემში მცხოვრები ახალგაზრდების საჭიროებები. კერძოდ, რა ინტერესები აქვთ, სურთ თუ არა სხვადასხვა ტიპის კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო ცენტრების არსებობა თემში. ასევე, ახალგაზრდებმა საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის წარმომადგენელს გაუზიარეს მათი იდეები თემში მცხოვრები ახალგაზრდების გააქტიურების შესახებ.

შეხვედრის მონაწილეებმა თემში არსებულ მთავარ პრობლემად სიღარიბე და უმუშევრობა დაასახელეს. ისინი აღნიშნავდნენ, რომ ბავშვთა შრომას ხშირად სწორედ ეს პრობლემები იწვევს.

„საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია“, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით, აჭარის რეგიონში, ახორციელებს პროექტს, „მუნიციპალიტეტების გაძლიერება ბავშვთა მიმართ ძალადობაზე რეაგირებისა და ოჯახების მხარდაჭერისთვის აჭარაში“, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს მუნიციპალიტეტის სოციალური სამუშაო ძალის უნარებისა და ცოდნის განვითარებას, რათა მოახდინონ ბავშვთა ძალადობის შემთხვევებზე და რეგიონში მოწყვლადი ოჯახების მხარდაჭერაზე დროული რეაგირება.

შეხვედრები ახალგაზრდებთან და მშობლებთან

19 სექტემბერს, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის წარმომადგენელმა, მარიამ ბერიძემ, ხულოს კულტურის სახლში, ახალგაზრდების მშობლებთან შეხვედრა ჩაატარა. შეხვედრაზე განხილული იყო აზარტული თამაშები და ბავშვთა მიმართ ძალადობა. პროექტის ფარგლებში ჩატარებულ სათემო შეხვედრებზე გამოიკვეთა, რომ თემში ახალგაზრდები აზარტული თამაშებით ინტერესდებიან.

ასევე, 21 სექტემბერს, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის წარმომადგენელმა, თამარ საუთიევამ, ქედაში მცხოვრებ ახალგაზრდებთან გამართა სათემო შეხვედრა, რომელიც მიზნად ისახავდა თემში არსებულ მოწყვლადობასთან დაკავშირებული პრობლემების გამოკვეთას.

შეხვედრაზე ახალგაზრდებმა აღნიშნეს, რომ ხშირად სმენიათ ისეთი შემთხვევების შესახებ, როცა მათი თანატოლები, მათ შორის 15, 16 წლის გოგო-ბიჭები, მიდიან სამუშაოდ თურქეთში და ფიზიკურად შრომობენ. მათი აზრით, ბავშვები არ უნდა მუშაობდნენ შეუსაბამო სამუშაოებზე და მნიშვნელოვნად მიაჩნიათ ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან ხდებოდეს ოჯახების მხარდაჭერა.

ასევე, 21 სექტემბერს, შუახევში ახალგაზრდებთან შეხვედრა გამართა ასოციაციის წარმომადგენელმა ირმა ბებერაშვილმა, შეხვედრაზე განხილული იყო ახალგაზრდების პრობლემები.
„საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია“ გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით, აჭარის რეგიონში ახორციელებს პროექტს - „მუნიციპალიტეტების გაძლიერება ბავშვთა მიმართ ძალადობაზე რეაგირებისა და ოჯახების მხარდაჭერისთვის აჭარაში“.

სოციალური მუშაკებისთვის ახალი წიგნი შეიქმნა

სახელმძღვანელოზე ,,სოციალური მუშაობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა ალტერნატიულ მომსახურებებში'' მუშაობა დასრულდა და იგი მალე გახდება ხელმისაწვდომი საზოგადოებისთვის.

წიგნი შეიქმნა პროექტის "მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთათვის ალტერნატიული მომსახურების გაუმჯობესებისათვის პროფესიონალთა გაძლიერება" ფარგლებში.

სახელმძღვანელო განკუთვნილია როგორც სოციალური მუშაობის სტუდენტებისთვის, ისე დაპრაქტიკოსი სოციალური მუშაკებისთვის.
წიგნის ავტორები არიან საქართველოს სოციალური მუშაკთა ასოციაციის თანამშრომლები:ნელი აკობია, ირმა ბებერაშვილი, ქეთევან გიგინეიშვილი; გურანდა თეთრაძე, ნათია მაჭარაშვილი, თამარ საუთიევა, ნინი ტაბიძე და ნინო შატბერაშვილი.

შეხვედრები ქედაში

21 სექტემბერს, ქედის მუნიციპალიტეტში, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის წარმომადგენელმა თამარ საუთიევამ მერიის მუნიციპალიტეტის თანამშრომლებსა და სხვადასხვა უწყებების წარმომადგენლებს გააცნო სექტორთა შორის თანამშრომლობის მოდელი, მრჩეველთა საბჭოს სტრუქტურა და მიზნები. შეხვედრაზე მონაწილეებმა განიხილეს თემში არსებული პრაქტიკული შემთხვევა, გამოკვეთეს უწყებების კოორდინირებული მუშაობის აუცილებლობა და დაისახეს ინტერვენციის გეგმა.

ასევე, მერიის თანამშრომლებმა, სულიკო ჩხიკვაძემ და თეა შარაშიძემ, საინფორმაციო შეხვედრა გამართეს მერის წარმომდგენლებთან და უმცროს სპეციალისტებთან, ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სამოქმედო ინსტრუქციის გაცნობის მიზნით. შეხვედრას ფასილიტაციას უწევდა საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის წარმომადგენელი თამარ საუთიევა. შეხვედრაზე სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურმა მუშაკმა და ჯანმრთელობისა და სოციალური სამსახურის თანამშრომელმა მონაწილეებს გააცნეს სოციალური პროგრამები და სამუშაო მიმართულებები.

„საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია“ გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით, აჭარის რეგიონში ახორციელებს პროექტს - „მუნიციპალიტეტების გაძლიერება ბავშვთა მიმართ ძალადობაზე რეაგირებისა და ოჯახების მხარდაჭერისთვის აჭარაში“.

შეხვედრა ქობულეთის რაიონის ახალგაზრული საკრებულოს წევრებთან

12 ოქტომბერს, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის წარმომადგენელმა, ქეთი გიგინეიშვილმა, ქობულეთის ახალგაზრდული საკრებულოს თავმჯდომარე გვანცა ვარშანიძესთან ერთად, ქობულეთის რაიონის ახალგაზრდებთან შეხვედრა გამართა.

შეხვედრა მიეძღვნა ბავშვთა მიმართ ძალადობისა და ბავშვთა შრომის საკითხების განხილვას. შეხვედრაზე ახალგაზრდებმა განსაკუთრებული ინტერესი გამოხატეს საკითხების მიმართ და აქტიურად იყვნენ ჩართულნი დისკუსიებში.

„საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია“ გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით აჭარის რეგიონში ახორციელებს პროექტს, „მუნიციპალიტეტების გაძლიერება ბავშვთა მიმართ ძალადობაზე რეაგირებისა და ოჯახების მხარდაჭერისთვის აჭარაში“.

საინფრომაციო შეხვედრა სტუდენტებთან

2 ოქტომბერს, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის წარმომადგენელმა ნათია მაჭარაშვილმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური მუშაობის მიმართულების სტუდენტებთან, ასოციაციის ისტორიის, საქმიანობისა და მიზნების შესახებ საინფორმაციო შეხვედრა ჩაატარა.

შეხვედრის ბოლოს სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ კითხვები დაესვათ მათი პროფესიული ასოციაციის წარმომადგენლისთვის. შეხვედრამ ინტერაქტიულ რეჟიმში ჩაიარა.
მონაწილეებმა იმსჯელეს პროფესიის გამოწვევებსა და ასოციაციის როლზე ამ პრობლემების გადაჭრაში.
სტუდენტებს საშუალება მიეცათ გაცნობოდნენ ასოციაციის საინფორმაციო ბიულეტენს. ასევე, სურვილისამებრ გაწევრიანებულიყვნენ პროფესიულ ორგანიზაციაში.

ბათუმში მიმდინარე პროექტის ფარგლებში რეგიონალური შეხვედრა ჩატარდა

18 ოქტომბერს, ბათუმში საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის ორგანიზებით ჩატარდა რეგიონალური შეხვედრა.

შეხვედრას ესწრებოდნენ გაეროს ბავშვთა ფონდის ბავშვთა დაცვის ერთეულის უფროსი მილენა ჰარიზანოვა, და გაეროს ბავშთა ფონდის სოციალური კეთილდღეობის ოფიცერი ქეთევან მელიქაძე, ბათუმის მერი ლაშა კომახიძე, ხელვაჩაურის მერი ჯუმბერ ვარდმანიძე და ქედის მერი ლევან გორგილაძე. ასევე, აჭარის რეგიონის ექვსივე მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები და სოციალური მომსახურების სააგენტოს აჭარის ფილიალის სოციალური მუშაკები.

შეხვედრის მიზანი იყო ადგილობრივი თვითმმართველობის, პროექტის განმახორციელებელი, პარტნიორი და მხარდამჭერი ორგანიზაციების წარმომადგენლებს შორის პროექტის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების გააზრება, მიღწევებისა და გამოწვევის განხილვა, განსხვავებული მუნიციპალური პრაქტიკის მიმოხილვა და სამომავლო ქმედებებზე შეთანხმება.

აღნიშნული შეხვედრა პროექტის - „მუნიციპალიტეტების გაძლიერება ბავშვთა მიმართ ძალადობაზე რეაგირებისა და ოჯახების მხარდაჭერისთვის აჭარაში" ფარგლებში გაიმართა რომელიც ხორციელდება გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით, აჭარის რეგიონში.

2019 წლამდე ასოციაცია წევრების პროფესიული გაძლიერებისა და გააქტიურების მიზნით გეგმავს შემდგომ ღონისძიებებს:

ასოციაციამ შეიმუშავა წევრებთან ურთიერთობის ახალი სტრატეგია, რომლის პილოტირებაც განხორციელდება 2019 წლამდე. ასოციაცია ახალი კონცეფციის ფარგლებში თავის წევრებს სთავაზობს ექსკლუზიურ შესაძლებლობებს პროფესიული გაძლიერების, გააქტიურებისა და სოციალური ღონისძიებებში ჩართვისათვის.

ასოციაციის წევრებს გავუზიარებთ შემდგომ ინფორმაციას:

- ასოციაციის კვარტალური ბიულეტენი (საჯაროა თუმცა წევრებს გაეგზავნებათ ელ. ფოსტის მეშვეობით)
- რეგიონული და საერთაშორისო კონფერენციების შესახებ
- ქვეყანაში არსებული პროფესიული გამოწვევების შესახებ
- სოციალური მუშაობის ვაკანსიები
- საერთაშორისო პროფესიული სიახლეები (პროფესიული სტატიები, წიგნების მიმოხილვა და ა.შ.)
- საერთაშორისო სტიპენდიები

მხოლოდ ასოციაციის წევრებისთვის იქნება ღონისძიებების პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით:

- ტრენინგები წევრებისთვის
- პროფესიული ლიტერატურისადმი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (ასოციაციის წიგნების ელექტრონული ბაზა და ასოციაციის ბიბლიოთეკა),
- პრაქტიკოსი სოციალური მუშაკების პროფესიული მხარდაჭერა: სუპერვიზია, კონსულტირება (მსურველებმა უნდა მოგვმართონ განაცხადის შევსების მეშვეობით შემდგომ ბმულზე გადასვლით: https://goo.gl/forms/WxzYNRZLaPNijdGF2)
- ასოციაციის მიერ გამოცემული პროფესიული ლიტერატურის პრეზენტაცია
- სარეკომენდაციო წერილის გაცემა აქტიური წევრებისთვის
- წევრების ინიციატივების მხარდაჭერა სხვადასხვა ღონისძიებებთან დაკავშირებით (მომართვის შემთხვევაში, შეხვედრების ოთახის გამოყოფა და ა.შ.)
- რეგიონული ინიციატივების მხარდაჭერა
- რეგიონული წარმომადგენლების გააქტიურება
- ასოციაციის კონფერენციებზე წევრების მოპატიჟება (ასეთის დაგეგმვის შემთხვევაში).

წევრებთან ერთად სოციალური აქტივიზმი და სოციალური ღონისძიებები:

- ქვეყანაში არსებულ აქტუალურ საკითხებთან ან/და საერთაშორისო დღეებთან დაკავშირებით სოციალური ღონისძიებების ორგანიზება (შეხვედრა, აქცია, მსვლელობა, პეტიცია, კონფერენცია და ა.შ.),
- წევრების მხარდაჭერა სოციალური საკითხებისა თუ პროფესიული განვითარების სოციალური ადვოკატობის/ სოციალური ცვლილების პროცესში, სხვა წევრების მობილიზების უზრუნველყოფა,

- სხვადასხვა სოციალური საკითხების აქტუალიზაციის მიზნით რუბრიკაში „პროფესია, რომელიც ჩემშია“ წევრების როლის გააქტიურება
- წევრების მიერ სოციალურ მუშაობასთან დაკავშირებით ბლოგის დაწერის წახალისება, რომელიც გამოქვეყნდება ასოციაციის ვებ-გვერდზე

ასოციაციას ჰყავს წარმომადგენლობა თითქმის ყველა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგიონულ საბჭოებზე. ასოციაციის მიერ შემუშავებული კრიტერიუმებით მოხდება საბჭოზე ასოციაციის წევრების მიერ განსახილველად გამოტანილი შემთხვევების შეფასება და საუკეთესო პრაქტიკის გამოყოფა და სოციალური მუშაკის წახალისება.

დროებითი დაკავების იზოლატორებისათვის შერჩეული ფსიქოლოგების და ექიმების გადამზადება

2018 წლის ოქტომბრის თვეში განხორციელდა შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი დაკავების იზოლატორებისათვის შერჩეული ფსიქოლოგების და ექიმების გადამზადება, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციისა და ორგანიზაცია „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში“ მიერ. აღნიშნული გადამზადება მოიცავდა რამოდენიმე სატრენინგო დღეს და თემას, მათ შორის: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სამართლებრივი ასპექტები; ბავშვთა მიმართ ძალადობის იდენტიფიცირება; ფსიქო-სოციალური შეფასება; მულტიდისციპლინური მუშაობა; კრიზისის პრევენცია; სუიციდის პრევენცია და სუპერვიზიის მეთოდები.

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობით, თბილისში ახორციელებს პროექტს „მობილური მულტიდისციპლინური გუნდის შექმნა შსს-ს შემადგენლობაში შემავალი დროებითი დაკავების იზოლატორებისთვის“.

აღნიშნული პროექტი გულისხმობს წინასწარი დაკავების იზოლატორებში ფსიქო-სოციალური მომსახურების განვითარებას, წინასწარი დაკავების იზოლატორში განთავსებული არასრულწლოვნებისათვის, რომლებსაც ადგილზე გაუწევენ პირველად ფსიქო-სოციალურ მხარდაჭერას.

დისკრიმინაციის რისკისგან დაცვის მიზნით მოსამართლეებთან სამუშაო შეხვედრა გამართა

27-28 ოქტომბერს,მოსამართლეებთან სამუშაო შეხვედრა – „დისკრიმინაციული მოპყრობის რისკებისგან დაცვა ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმის იმპლემენტაციის პროცესში" გაიმართა. სესიებს სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები უძღვებოდნენ. სამუშაო შეხვედრის მიზანს მოსამართლეებისთვის იმ ინფორმაციის გაზიარება წარმოადგენდა, რაც მათ ქმედუნარიანობის რეფორმის განხორციელების პროცესში დისკრიმინაციული პრაქტიკის თავიდან არიდებაში დაეხმარებათ.

სამუშაო შეხვედრის მეორე დღე დაეთმო სოციალური მუშაკის როლს ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირის შეფასების განხორციელებისას, რაზეც სოციალურ მუშაკთა ასოციაციის წარმომადგენელმა, სოციალურმა მუშაკმა ანი ასლანიშვილმა ისაუბრა. შეფასების ჩატარების და დამოუკიდებელი ცხოვრების მხარდაჭერის პროცესში ოკუპაციური თერაპევტის როლის შესახებ კი, PHR-ის ხელმძღვანელმა და პროფესიონალმა ოკუპაციურმა თერაპევტმა, ანა არგანაშვილმა ისაუბრა.

სამუშაო შეხევდრებს ორგანიზება PHR - მა გაუწია. სამუშაო შეხვედრის ორგანიზება შესაძლებელი გახდა „ღია საზოგადოების ფონდის" მხარდაჭერით.

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია თანასწორობის მოძრაობასთან თანამშრომლობს

2018 წლის სექტემბერ-ნოემბერში საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია ლგბტ სათემო ორგანიზაციას „თანასწორობის მოძრაობა“ უწევს მეთოდოლოგიური კონსულტირებას. თანამშრომლობის ფარგლებში თანასწორობის მოძრაობას ეწევა შემდგომი მომსახურება:

• ასოციაციამ იმუშავებს სოციალური მომსახურებისა და მულტიდისციპლინური გუნდის კონცეფციას ლგბტ თემთან მუშაობის მიმართულებით
• აყალიბებს სოციალური მუშაკის სამუშაო აღწერილობას
• იმუშავებს სოციალური მუშაკისა და მულტი დისციპლინური გუნდის სამუშაო ფორმები და გზამკვლევები
• ხელს უწყობს ორგანიზაციაში მულტიდისციპლინური ჯგუფის მუშაობის სტრუქტურის ჩამოყალიბებას
• ორგანიზაციის თანამშრომლებისთვის ასოციაცია ატარებს 4 დღიან ტრენინგს სხვადასხვა თემებზე, როგორებიცაა: სოციალური მუშაკის როლი ლგბტ თემთან მუშაობისას, ეთიკის სტანდარტები, შეფასების ძირითადი პრინციპები, ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასება, სოციალურ-კულტურული შეფასება, ბენეფიციარებთან მუშაობა სხვადასხვა დონეზე (ინდივიდები, ოჯახი, ჯგუფი, თემი), ინდივიდუალური განვითარების გეგმა, მულტიდისციპლინური გუნდის მუშაობის პროცესი და კოორდინაციის პროცედურები, მოტივაციური ინტერვიუირება.

პროექტი: „საქართველოს პრობაციისა და პენიტენციურ სისტემებში ფსიქო-სოციალური მუშაობის კომპონენტის ხარისხის გაზომვის მექანიზმების გაძლიერება“

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით, ახორციელებს პროექტს „საქართველოს პრობაციისა და პენიტენციურ სისტემებში ფსიქო-სოციალური მუშაობის კომპონენტის ხარისხის გაზომვის მექანიზმების გაძლიერება“, რომლის მიზანიც არის ტექნიკური დახმარების გაწევა პრობაციისა და პენიტენციური სისტემებისთვის ფსიქო-სოციალური მუშაობის კომპონენტის ხარისხის გაზომვის მექანიზმების დასანერგად.

მიმდინარე პროექტის ფარგლებში განხორციელდა პრობაციისა და პენიტენციური სისტემების ფსიქო-სოციალური (სარეაბილიტაციო) მუშაობის კომპონენტის შესახებ საჭიროებების შეფასება, გამოკვეთილი საჭიროებების მიხედვით ხარისხის გაზომვის მექანიზმების გასაძლიერებლად რეკომენდაციების და კონცეფციის შემუშავება და შესაბამისი უწყებებისათვის გაცნობა.

პროექტი - „თანამშრომლობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ჩართულობის მხარდამჭერი ეფექტიანი პოლიტიკის ფორმირებისათვის აჭარაში“

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია ფონდ ღია საზოგადოებასთან და საერთაშორისო განათლების ცენტრთან თანამშრომლობით ახორციელებს პროექტს - „თანამშრომლობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ჩართულობის მხარდამჭერი ეფექტიანი პოლიტიკის ფორმირებისათვის აჭარაში“. აღნიშნული პროექტის ფარგლებში აჭარაში განხორციელდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ღია შრომის ბაზარზე დასაქმების ადვოკატობის კომპონენტი.

პროექტი მიზნად ისახავს აჭარის რეგიონში ინკლუზიური პოლიტიკის ჩამოყალიბებას ადგილობრივი მთავრობისა და სამოქალაქო საზოგადოების მობილიზაციის გზით. დასაქმების ადვოკატობის პროექტს კონსულტირებას უწევს შეზღუდული შესაძლებობის მქონე პირთა თემის წარმომადგენელი, რომელმაც შეიმუშავა დასაქმების საადვოკატო პროექტის კონცეფცია და ხელი შეუწყო შემდეგ მის განხორციელებას.

ასოციაცია: საქართველოში სოციალური მუშაკების ყველაზე დიდი დამსაქმებელი ვერ იაზრებს სოციალური მუშაკების ფუნქციას მათ უწყებაში

2017 წლის სექტემბერში სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკები და მთლიანად პროფესიული თემი აღაშფოთა მიმდინარე მოვლენებმა, რამაც საფუძველი ჩაუყარა 28 სექტემბერს პეტიციის გამოქვეყნებას https://manifest.ge/main/item/1744 . მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ სოციალური მუშაკების მუშაობის ხარისხზე დიდწილადაა დამოკიდებული მათი ბენეფიციარების კეთილდღეობა. ბოლო წლებში სოციალური მუშაობის კომპონენტის დაკნინების ტენდენცია კი ცხადყოფს, რომ სოციალური მუშაობის მიზნის განხორციელება საჭიროებს არსებული პოლიტიკის გადახედვას. სწორედ ამიტომ პროფესიულ თემსა და თემის მხარდამჭერ პირებს პეტიციის გამოქვეყნებით ჰქონდათ შემდგომი მოთხოვნები:

1.სოციალური მუშაკებისათვის სამუშაო ინსტრუმენტების (მეთოდებისა და მოდელების) შემუშავება და სოციალური მუშაკების გადამზადება მათ გამოყენებაში;

2. სოციალურ მუშაკებს მიეცეთ შესაძლებლობა, იმუშაონ შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილ, უსაფრთხო გარემოში (სამუშაო დატვირთვის ნორმალიზება, ღამის საათებში მოულოდნელი გამოძახებების რეგულირება, საგზაო ხარჯების გათვალისწინება, ინდივიდუალური გასაუბრებისთვის სივრცის გამოყოფა, უსაფრთხო სამუშაო გარემოს რეგულაციების არსებობა და ა.შ.) და ჰქონდეს ღირსეული ანაზღაურება.

3. სამუშაო ჯგუფის შექმნა აღნიშნული პროცესების დასაწყებად, რომელშიც ჩართული იქნებიან როგორც სამინისტროს წარმომადგენლები, ისე პროფესიულად მხარდამჭერი ორგანიზაციები და ველზე მომუშავე სოციალური მუშაკები.

მიუხედავად იმისა, რომ პეტიციას 42 არასამთავრობო ორგანიზაცია და 600-მდე ადამიანი აწერდა ხელს და იგი გაიგზავნა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროში და საპარლამენტო კომიტეტებში შეხვედრისა და შესაბამისი რეაგირების განხორციელების მოთხოვნით, მას ქმედითი რეაგირება არ მოჰყოლია და პრობლემური საკითხები დღემდე აქტუალურია. ის ფაქტი, რომ 2018 წლის ოქტომბრის თვეში სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის მიერ გამოცემულ იქნა ბრძანება, რომელიც სოციალურ მუშაკებს სასამართლო წარმომადგენლობას ავალდებულებდა (აღნიშნული ბრძანება გლდანი-ნაძალადევის სოციალური მუშაკების ადვოკატობის შედეგად მოგვიანებით სააგენტოს დირექტორმა გააუქმა), ცხადყოფს, რომ საქართველოში სოციალური მუშაკების ყველაზე დიდი დამსაქმებელი ვერ იაზრებს სოციალური მუშაკების ფუნქციას მათ უწყებაში.
მსგავსი ტენდენციები სხვა სოციალურ მუშაკთა დამსაქმებლებთანაც იკვეთება.

ცვლილებები საზოგადოების საკეთილდღეოდ . . .

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია
www.gasw.org
წევრებთან საკონტაქტო:
gasw@gasw.org;
gaswmembers@gasw.org